

33  
1920/09

ფასი 10 გ.



„მოდი მოუღე კუდსაო, ბატონი მოქცეუს ქუდსაო  
მოგცეუს და ისევ წაგრომევს, ნუ დაგაჟლდება გულსაო“.  
(ხალხური ანდაზა)

N

28

1920 წ.

ივნისის 6



თავისუფალი ადერბეიჯანი.

## ორი ქაბუკი, ორი არწივი და ჭაბუკი.

იყო ერთი ქაბუკი — ამაყი, მხნე, ლალი და მა-  
მაცი.

თავი არასოდეს დაუხრია მიწისკენ და სულ  
ცაში იყურებოდა:

— მზე უყვარდა ძლიერ და კიდევ არწივი.

მზეს მის გარდა თვალს ვერავინ უსწორებდა.  
ის კი დაუხამხამებლად გაუყრიდა თვალს და სია-  
მისაგან უხმოდ იცინოდა.

არწივის რომ დაინახავდა, გული აუთროოლდე-  
ბოდა ხოლმე და ხელებს ზევით ასტყორცნიდა,  
არწივისაკენ, თითქოს ფრთხებსა ჰშლის და გაფრე-  
ნა უნდაო.

— რა არის, რომ სულ ცაში იცქირები? განა  
კისერი კი არ გეტკინებაო? — ჰკითხავდნენ ზოგი  
და იცინოდნენ.

— ნუ გეშინიანო! — მიუგებდა და არც კი შექ-  
ხდავდა, ისევ ზევით იყურებოდა, ცისაკენ.

— მანც, რა დაგიკარგავს იმ ღრუბლებში,  
თვალს რომ არ აშორებო? — ჰკითხავდნენ სხვები.

— სინათლე და თავისუფლებაო! — მიუგებდა.

— როდის უნდა მოსწყვიტო თვალი ამ ცის  
გუმბათსო? — ჰკითხავდნენ კიდევ მესამენი.

— თქვენა და თქვენისთანები რომ მზესავით  
ნათელი და არწივისავით თავისუფალი გახდებითო!  
— მიუგებდა.

— გიუიაო! — ამბობდენ მისთვის ზოგი და  
დაცინოდნენ.

— ხალხსა ჰრყენისო! — გაიძახოდნენ ძლიერნი  
ქვეყნისანი და საპყრობილები ამწყვდევდენ, აწ-  
ებდნენ და სტანჯავდენ.

— ეგ არის ჩვენი მწე და მეობი: გზას გვიკ-  
ვლევს და წინ მივყევართო! — ჩურჩულებდნენ აქა-იქ  
და თვალს არ აშორებდნენ.

ის კი ისევ ცაში იყურებოდა ნიადაგ და უში-  
ურად მოუწოდებდა ხალხს:

— დაამკვიდრეთ ქვეყნათ ნათელი მზისა და  
თავისუფლება არწივისაო!

თან და თან იზრდებოდა ქაბუკის მიმდევართა  
რიცხვი და ბოლოს ცველამ იწამი იყო.

აუგეს მას მშვენიერ კორდზე ლამაზი სასახლე,  
გაუშენეს წალკოტი და ხელით აიყვანეს ახალ  
ბინაზე.

— ჩვენთვის ეწამი, ჩვენთვის ევნო და ჩვენვე  
უნდა დაყუამოთ წყლულები. . დე, მოსვენებით და  
უზრუნველაო იცხოვოს: უფრო გაგვიკვლევს  
გზას! — ამბობდნენ.

და ქაბუკი მრავალ-ჭირნახული, გამხდარი და  
ფითრებული დამკვიდრდა ახალ სახლში. თვალები

ისევ უწინდებურათ უელავდა და ცისკენ ჰქონდა  
მიპყრობილი, მზისა და არწივისაკენ.

მაგრამ ისე ლამაზი იყო სასახლე და ისე თვალ-  
წარმტაცი წალკატი, რომ ქაბუკი ხან და ხან მათი  
ცქირითა(?) სრკბებოდა და მაშინ დროებით ავიწ-  
ყდებოდა მზე და არწივი.

ერთხელ მივიდა მასთან კაცი ვინზე შემპარავი,  
მსუქანი, მაძლარი და კმაყოფილი, სალამი მისცა  
და უთხრა:

— მაპატივე კადნიერება, მაგრამ ერთი რამ  
უნდა გითხო: სულ რომ ზევითკენ მიიღოვი და მზე-  
სა და არწივს უცქერი, განა შეიძლება მათი მიწვ-  
ლობა? ვის შეუძლია ხალხის იმ სიმაღლეზე აყვანა  
და ცაში დასახლება?

— ეგ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ  
მზის და არწივის დედამიწაზე ჩამოტანა კი შესა-  
ძლოა, — უპასუხა ქაბუკია.

— ჰიე-ჰიე-ჰიე! — გაიცინა კაცმა: განა ჩამოსა-  
ტანადაც ასელა, არ დაგიკირდებაო?  
ქაბუკი შეჩერდა, წარბები შეცერა და მრისხა-  
ნეთ უთხრა:

— მაცდური ვინმე ყოფილხარ! წალი აქედან!

— ჰიე-ჰიე-ჰიე! — კიდევ გაიცინა შემპარავად კა-  
ცმა: მიტომ მოგახსენე კადნიერი სიტყვა, რომ მე  
მივაგენი საშვალებას და შემიძლია მზესა და არწივს  
მივწვდეო.

— წადი! არ მინდა შენი საშვალებაო! — გაუ-  
რისხდა ქაბუკი და გაშორდა იმ კაცს.

მარტო რომ დარჩა, იმ კაცის სიტყვებმა ჩააფი-  
ქრა. ნეტა რა საშვალებას მიაგნოო — ჰფიტრობდა  
ქაბუკი.

შეორე დღესაც მივიდა ჰანუკთან ის კაცი და  
მესამესაც.

ბოლოს ველარ მოითმინა ქაბუკმა და ჰკითხა,  
აბა მითხარი, რა საშვალებას მიაგენი მზისა და  
არწივის მისაწვდომათო.

მაშინ იმ კაცმა წაიყვანა ქაბუკი, მიაყენა ერთ  
ჭობს, რომლის ზედა პირი უძრავი და სარკესავით  
სწორი იყო, გააჩერა და უთხრა:

— აბა, მოაშორე თვალი შენს მზესა და არ-  
წივს და უქცევდე ჩემსახო!

ქაბუკმა მოსწყვიტა თვალი ზეცას, ჩაიხდა  
კაბუკი და საოცარი რამ დაინახა: სწორედ ის  
ჭობში და საოცარი რამ დაინახა: სწორედ ის  
ზეცა, რომლისთვისც აქა-იქ დე თვალი არ მოშორე-  
ბია, აქ ჩამობილიყო, ამ კაბუკი, თავის ღრუბ-  
ლებიანათ, ზედ ანათებდა იგივე მზე და ღრუბლე-  
ბში ლალად დანავარდობდა იგივე არწივი.

— რას იტყვიო? — ჰკითხა კაცმა.

ქაბუკი მუნჯივით იდგა ერთ აღგილას და თვალს  
ვერ აშორებდა საკირველ სურათს.

— როგორ გვინია, რა არის უფრო იღვილი:  
იქ, შენს მზესა და არწივთან ასვლა, თუ აქ, ჩემს  
ცაზე დაშვებაო?

ჭაბუკი ისევ ისე უძრავადიდგა, გაშტერებული,  
შაშინ კაცმა ხელი ხელში ჩავლო და შუა ჭაო-  
ბისკენ წილებანა.

ჭაბუკი ანგარიშ-მიუცემლათ მიჰყებოდა თან  
კაცს და ოვალს ვეღარ აშორებდა ჭაობში გამო.  
სულ მზისა და არწივის ანარეკლს.

ეს კაცი მართალს ამბობს— პფიქრობდა იგი:  
მაგისი მზე და არწივი უფრო ადვილი მისაღწევია  
ვიდრე ჩემით.

და ჭაბუკი იმ კაცთან ერთად ჩაეშვა შუა ჭაობში.  
ასე ჩაიძირა თავისუფლებისა და სინათლის მო-  
ყვარული ჭაბუკი ბაყაყებისა და ქვეწარმავალთა  
საბუდარში.

თავუნა.

## ტაქი-ტუშის სიმღერა

(გ. ქუჩიშვილს)

1.

კლდეში ჯოჯო დალოგინდა,  
მღვიმეს შემოუსტევინა,  
უსტვინა, უსტვინა...  
კლდესა ტლაშანი ავარდა,  
სოფლის ბოლოს უწვდინა,  
უწვდინა, უწვდინა...  
ხუცესს ლიპი გაუსივდა,  
ჭინკამ თურმე უკბინა,  
უკბინა, უკბინა...  
ნაბატონარს შეილიშვილი  
დაებადა უტვინო,  
უტვინო, უტვინო...

2.

ყანას მწყერი გავოგმანდა ნელა...  
ნელა...  
ყაყიჩა წამოაქცია ცუგრუ...  
მელა...  
ბოქაულობს კომისარი მელა...  
მელა...  
გადაგვყლაპოს ლამის არი ყველა...  
ყველა...

3.

ურმის კოფოზე წყალი გუბს,  
შიგ თარაგული მიცურავს,  
მიცურავს, მიცურავს...  
ცამ თუ იცის ცოდვა მაღლი,  
წყალს არ გადაგვიწურავს,  
გვიწურავს, გვიწურავს...  
ქოხშიც წყალი ჩამოსული,  
დარბაზს ვინ დაგვიხურავს,  
გვიხურავს, გვიხურავს...

ნიავი ფოთოლს მიაყრის.

ჭარი შეგვიმიწურავს,  
მიწურავს, მიწურავს...

4.

გასტიგუგუ ჩამოვაბი  
წეიმის ცვარზე ავკიდე,  
ავკიდე...  
ლვდელს უზალთუნი შევაბი,  
შევაბი და დავჭკიდე,  
დავჭკიდე...  
საბაუზე არ გამიშვეს,  
თავსა ბალა წავჭკიდე.  
წავჭკიდე...  
ძალლის ხილზე გავიარე,  
ვერც შაურად გავჭყიდე,  
გავჭყიდე...

5.

ორლობე ჩამოვიარე,  
ზვარი და ვენახი,  
ზვარი და ვენახი...  
გუთნის ერქეანს უღრუტუნებს  
წვინტლაძიანთ ტახი,  
ტახი, ტახი...  
ბიჭი გოგო მოგინდება,  
შენზედ არის ახი,  
ახი, ახი...  
კუდ ბოძალი, თავ კობალი,  
ეშმაკის მათრახი  
ეშმაკის მათრახი...

6.

საქართველოს ვინ აჯავრებს,  
მოწყენილი რათ არი,  
რათ არი, რათ არი...  
თარაქამა დაგვემუქრა,  
მაგომედა თათარი,  
თათარი, თათარი...  
ყიზილბაში ქემალფაშა,  
რუს ლენინიც აქ არი,  
აქ არი, აქ არი...  
ჩვენი ჯარი და გვარდია  
ფეხზე სდგას და მზათ არი,  
მზათ არი, მზათ არი...

7.

ჩვენ რომ დიდი ღმერთი გვწყალობს  
მცერს რათ არა ჰეონია,  
რათ არა ჰეონია...  
თავისუფლების ტაბარი  
სხევს რათ არა ჰეონია,  
რათ არა ჰეონია...  
რათა ბიჭი, რათა ბიჭი,  
სხევს რათ არა ჰეონია!..  
საქართველომ ააშენა—  
სხევს რათ არა ჰეონია,  
სხევს რათ არა ჰეონია...

დღეს არ იცის, ხვალ გაიგებს  
მეტი რა ღონეა,  
მეტი რა ღონია...  
8.

ჩვენი ცდანი საგმირონი  
სუ სავარგონია...  
შვილი შვილთა ჩვენ საფლავზე  
ვარდი დარგონ ია...  
ერთობაა ქრისტე ღმერთი,  
ჩვენ ასე გვგონია...  
მიწა ჩვენი სამშობლოა—  
მზე იორდანია...  
ივანე ნათლის მცემელი—  
ნოე ეორდანია...

ვინტარი.

## პატარა ფელეტინი.

სჯობს სახელისა მოხვეჭა...

„რა უარეა მამაცა,  
ომშიგან პირის მღმერელსა,  
შემდრკალსა, შეშინებულსა  
და სიკვდილისა მეცველსა!  
კაცი ჯაბანი რითა სჯობს  
დიაცა, ქსლისა მბეჭველსა,  
—სჯობს სახელისა მოხვეჭა  
ყოველსა მოსახვეჭელსა.  
შოთა რუსთაველი.

მახსოვს, ერთი ვიღაცა ქართველი მწერალი  
სამი წლის განმავლობაში თანდათანობით ჰქონდა  
და „ვეფხვის ტყაოსნიდან“ ეგრეთ წოდებულ „ყა-  
ლბ აღილებს“ და როცა ვეფხის ტყაოსანი აღარ  
ეყო, „ქილოლაზე“ გადავიდა.

რეინის გზის მოსამსახურე ბარბაქაძე კი ასე  
სრულიადც არა ფიქრობდა. მას მისმა ბებიამ ბავ-  
შვობის დროსვე შეისწავლა საუკეთესო აღილები  
შოთას პოემისა. მათ შორის პატარა ბარბაქაძემ ყვე-  
ლაზე უფრო ზემორე მოყვანილი ტაქბის მეოთხე  
პწყარი—

„სჯობს სახელისა მოხვეჭა  
ყოველსა მოსახვეჭელსა“ — და მახსოვნა.  
ის მუდამ იმის ცდაში იყო, რომ მისი სახელი  
მთელ საქართველოს გაეგო და ეს ოცნება არ და-  
ვიწყებია არც მაშინ, როცა ჩვენს მატარებელს  
აღირებიანის საზღვრებში შეჰვე. ბარბაქაძე თან  
ერთად ას ცხრამეტი ქართველი კიდევ სხვა იყო  
ქართულ მატარებელზე, მაგრამ არც ერთმა იმათ-  
განმა არ იცოდა, რომ „სჯობს სახელისა მოხვეჭა  
ყოველსა მოსახვეჭელსა.“ ეს არ ცოდნა მათ არც  
ჩაეთვლებათ დიდ დანაშაულათ, ვინოდან ბებიას  
მათთვის არ უსწავლებია „ვეფხვის ტყაოსანი.“

ქართული მატარებლის შესვლამდე აღირებიანი  
უბრალო ბურჟუაზიული რესპუბლიკა იყო და  
იქ თავის მოწონება ყველა ქართველს შეეძლო

მაგრამ ერთ მშვენიერ საღამოს, როცა ქართველი  
მატარებელი ბაქოს სადგურზე იდგა, აღირებიანი  
უცებ გაწილდა, გაკომნისტდა, გაფედერალისტ-  
და და გასაბჭოთა რესპუბლიკა.

მდგომარეობა ძირიან ფესვიანად შეაცვალა და  
ცხადია, აქ თავის მოწონებას ყველა ქართველი ვერ  
შესძლებდა!

კომისი: ჩმა ჩანჩქრ ოლლიმ დაიბარა ქართველი  
რეინის გზელები და განუცხადა მათ:

— ამხანაგებო! თქვენს ქვეყანაში დღესაც კონტრ-  
რევოლუცია მძვინვარებს, ბურჟუაზია არის გამე-  
ფებული. ეს თქვენი ბრალიარ არის... რას იზამთ,  
ყველაფერს შეგნება და მომზადება სჭირია! თქვენ  
ჯერ-ჯერობით კულტურის დაბალ საცესურზე  
სდგებართ და აზიტომაც ვერ შეათვისებთ საბჭოთა  
აღირებიანის მაღალ კულტურას. მაგრამ ჩვენ იმე-  
დი გვაქვს, თან და თანობით თქვენ შეისწავლით  
პროლეტარიატის გზას და თუ ალაპმა ინება, სამო-  
თხეში შეხვალთ. ამისთვის, ამხანაგებო, საჭიროა  
თქვენ შეხვიდეთ ჩ ენს სამსახურში, აღირებიანში  
დარჩეთ და ისწავლოთ ჩვენგან სოციალიზმი.

ოცდა ცხრამეტ რეინის გზელს გულიანათ გაე-  
ცინა.

— ჩვენ მშვენიერად ვხედავთ თქვენს უპირა-  
ტესობას, მიუგო ერთმა მათგანმა — ვხედავთ თქვენს  
საუცხოვო წესრიგს, თქვენს შეგნებას და განვი-  
თარებას, მაგრამ თქვენთან დარჩენა არ შეგვიძლია.  
აბა რა თქვენთან გამოსაჩენი პირი გვაქვს ჩვენ,  
ბურჟუაზია და კონტრევოლუციონერებს!! გმა-  
დლობთ, ამხანაგო, კეთილი სურვილებისათვის.

მე ას ოც ქართველი რეინისგზელი ბატონი  
ბარბაქაძე ან დროს სულ-გატრუნულ იყო. ის დაუინე  
ბით ფაქტობდა შოთა რუსთაველის სიტყვებზე: სჯობს  
სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსათვის“

— ამხანაგო ჩანჩქრ! — დაიწყო მან მცირე ყოყ-  
მანის შემდეგ: — მართალია ერთი მერცხალის მოფ-  
რენა გაზაფხულს ვერ მოიყვანს, მაგრამ მე მინდა  
ჩემ შეგვნებელ თანამემამულეთა უმაღლერი საქციე-  
ლი გამოვასწორო, მე დავრჩები თქვენთან, მე შე-  
ვისწავლი თქვენს მეცნიერებას და მერე წაგიყვანთ  
ჩემს სამშობლოში ჩემი უბედური ქვეყნის გასანათ-  
ლებლათ.

ჩანჩქრ ოლლი ძლიერ გაახარა ამ გარემოებამ,  
მაგრამ არც ბარბაქაძე მოტყუუბულა ანგარიშში:

ას ოც ქართველ რეინის გზელთა შორის გა-  
ზეთებმა მხოლოდ მარტო იმისი გვარი აღნიშნეს,  
დანარჩენი 119 ქართველი რეინისგზელი, რომელთაც  
აღირებიანთან თანამშობლობაზე უარი სთქვეს, ვინ  
იყვნენ, ჯერაც არავინ იყიდა. ისტორიას მხოლოდ  
ბარბაქაძის სახელი გადაეცა.

„სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახ-  
ვეჭელსა“.

მორიგლი

## შექანჯალებულის ლექსები

აირი და მიირი  
დაუკარით დაირი,  
სულ სხვა და სხვა ნაირი...  
დაუკარით გიტარა,  
გინდ იცეკვეთ, გინდ არა...  
დაუკარით პიანინო,  
უნდა ვათავაშოთ ნინო...  
(ჩუმათ! ცხვირზე არ მიქმინო!).  
დაუკარით როიალი,...  
ჩამოვალის ჩემი ქალი...  
როგორ ცხოვრობ ყარდაშ, ალი?!  
ხომ არ გტკივა ჩემო, ძვალი?  
არ სჯობდა აჯაფ-სანდალი  
გეჭამა აღერბეიჯანში?!

რათ ამოგვიღე ნიშანში?!

მოვენატრა ვგონებ ფლავი?  
თქვენი ომიკ ჩანაფლავი.  
ზავი გვთხოვე დროებითი,  
სწორედ რომ ყოფილხარ ფინთი!!

არ გეომათ, რა გიშავდათ?  
განა ბატონი არ გყავდათ?  
„გაშითლება“ დაიუნეთ,  
თავზე სხვები დაიჯინეთ,  
გაგიფრინდათ რესპუბლიკა,  
არ გაჭამეს თქვენ ბუბლიკა?!?

და ვგონებ „ავტონომია“,  
დიდ რუსეთს შენთვის სდომია,  
მაგრამ, ეჭხ ძმაო ალია,  
რაც მოხდა შენიკ ბრალია...  
ჯერ ბევრს მოგ კხებენ ძალიანს,  
თქვენა და თქვენს კვანტალიანს,  
თქვენ მაშინ მოხვალთ ჭკუაზე,  
როცა მიღებით ყუაზე...  
მტერს მუხტალს მუშტი მაგარი  
კისერში თუ არ ჩაჰარი,  
ისე ვით დაიმეგობროთ  
რომ მოსვენებით იცხოვროთ...  
მტერს ვინც რისხვას არ უჩენებს,  
ის ვერას დროს მოისვენებს,  
მას თაობა შეაჩვენებს,  
მომავალი ზურგს უჩვენებს  
კრულვა რისხვით მოიხსენებს.  
კუკ-კოლისს ვინ წაასვენებს?!

რაენათ, კიდევ არ გვასვენებს,  
(იმას ღმერთი შეჩვენებს)

ბათუმის ოლქს ის „პატრონობს“,  
ყაჩაღებს აძლევს პატრონებს,  
თავხელებს აიარაღებს.  
ჩვენს სახლის კარს ურცხვად აღებს,  
ურცხვად სთელავს ჩვენს, ბაღებს,

მაგრამ თავზე ხელ ანაღებს,  
მის მსგავს თავხედ, ფლიდ ყაჩაღებს  
ჩვენ აქედან გზას უჩვენებთ,  
პირ-უკუღმა წავასვენებთ:..

ფლიდმა ბარდი სულ ვერ ღლიტოს,  
რავდენიც რა ითალლითოს,  
სურს მტრებს ჩვენზე მიუთითოს,  
ძმები ძმებსა გადაპკიდოს,  
ტკბილი ლუქმა რომ ხელთ იგდოს.

კუკ-კოლისი, კუკ-კოლისი  
კველამ ვიცით საქმე მისი,  
მჯერა, მჯერა, მოვესწრები—  
— ძირს ეყაროს ჩვენი მტრები,  
დალეწილი ქონდეთ მხერები,  
ჩვენი ჯარი, მძლე მხედრები.  
მტრებს ებრძვიან ვით აფთრები ..

დაუბნიერ მათ დაეთრები...

დღეს მღვრიე წყლით დავითვრები,  
ჩემს ანუსის ჩავეკვრები...  
დიპ-ტრუმ.. დიპ-ტრრუმ!...

დიპ-ტრუმ, დიპ-ტრრუმ!  
აბა, დოლი, აბა, თარი!

ტაში ბიჭო, ტაში, ჩქარა,  
დავტრიალდეთ როგორც ჯარი,  
ჯერ ჩამოვაცვათ მესტები...  
რუსეთის კომუნისტების,  
პარტია რათ დაიშალა?!!

მოლოდინმა გაუწყალა  
საცოდავებს გული, სული,  
სცდილობდნენ ძალა რუსული

ჩვენს საქეში ჩაერიათ,  
მაგრამ გზა კი აერიათ...  
ლენინს ფული გაუფლანგეს,  
მახე ყველგან მრავლად აგეს,  
„სოვენარკომი“ ვერ აავეს  
საქართველოს სამეფოში...  
შეაყოლონ მაშ ბაქოში,  
ჩამოიცვან ფეხზე ქოში...  
მაგრამ არა, დახე მელო?!

— არ სურთ დასთმონ საქართველო!

კვლავ სურთ გაიტანონ ლელო,  
არც ნაკლები და არც მეტი—  
ცენტრალური კომიტეტი

შექმნეს სამშობლოს ფარგებლში  
რომ ცხვრები არიონ მგლებში,  
კვლავ რომ ვინმე მოპატიუონ,  
კვლავ რომ ვინმე გააგიუონ...  
დიპ-ტრრუმ-დიპ-ტრრრუმ!!.

დოლი, თარი,  
აბა ბიჭო, ტაში, ჩქარი...  
ნახეთ, ახლად გამომცხვარი  
„მოლოდოი პროლეტარი“

„მწუთხე“ არის ნამეტარი,  
მოუწოდებს ახალგაზრდებს,  
„კომუნისტის“ ვინც თავს დასდებს,  
ყმაწვილებს უწვდიან ხელებს—  
ნორჩებს, სისხლ-მჩქეფთ და ტვინთხელებს;...  
(აღმართ კიდეც ასახელესბ)  
გურულ-იმერ ქართლ კახელებს—  
— აღარ სტოვებენ არავის...  
ჩუ! კიკინი შესმის კრავის...

### შექანჯალებული

## ქვითელი ფოთლები

მე პატარობიდანვე შევიყვაჩე ყვითელი ფერი  
ჩემი სააღდგომო ბლუზა უეჭველათ ყვითელი ფე-  
რის უნდა ყოფილიყო, ჩესტებზედაც ყვითელი არ-  
შაა მიყვარდა, ხოლო პასა ყოველივე ეჭვს გარეშე  
ყვითელი კოჭით უნდა ყოფილიყო შეზავებული.

ამ ყვითელ ფერისადმი სიყვარულში ბებია ჩემს  
მიუძღვის უმთავრესი ღვაწლი.

— წადი, შვილო, მამა შენს ყვითელი აბრეშუ-  
მის ჭიის თესლი აყიდვინე, მერე როცა პარკს გავ-  
ყიდი ყვითელ ბლუზას გიყიდიო—მეტყოდაც ხოლმე  
ბებია ჩემი და პირნათლათ ასრულებდა თავის და-  
ნაპირებს.

— ბები! რატომ ყვითელ თესლს ყიდულობ,  
თეთრი არა სჯობია? შევეკითხებოდი ხოლმე მე.

— ყვითელი პარკი უფრო ძვირათ ფასობს—გე-  
ნაცვალოს ბები.

— ყვითელი პარკის სიძირე თეთრზე ჩემთვის  
საკმარისი შეიქნა, ყვითელი ყველაფერი მაღლა  
დამეყენებია თეთრზე და წითელზე.

რაც დრო გადიოდა ყვითელ ფერს უფრო თა-  
ვანს ვცემდი და ვეძებდი ჩემებრ მის მოყვარულებს,  
მაგრამ ამათ, ჩემი პარტიის ხალხს ვერ მივაგნი.

ერთ მშვენიერ დღეს სრულრაც მოულოდნელათ  
ამეხილა თვალები. თურმე თფილისში, ჩემს საყ-  
ვაჩელ თფილისში, მთელი ორგანიზაცია ყვითლე-  
ბისა.

— ოხ, თედო ღლონტო, შენი სულის ჭირიშე,  
შენი! თუ შენ არა, მე დღესაც ობოლი ვაქნებოდი.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ თედო ღლონტის ნა-  
წერებს დიდი ხანია ვკითხულობ, და არც ერთხელ  
ამ ხნის განმავლობაში მისი წერილის შინაარსი არ  
გამიგია. დღეს კი, ოხ თედო! თედო!

თურმე მთელს თფილისის კავშირებში ყვითელი  
მუშები ყოფილან, მე კი ისინი წითლები მეგონენ  
და მეჯავრებოდნენ არა. როგორ ვერ შევატყვე ალ-  
ფეს ხელაძეს მაინც სიყვითლე? ყვითლების მეთაური  
თურმე ეს ყოფილა და მე კი არ ვიცოდი. პირველ  
მაისს ალფეს ხელაძეს წითელი ლენტი ჰქონდა გუ-  
ლზე მიბნეული (ცხადია, ჩემ მოსატყუებლათ)

— ოხ, თედო! თედო! რითი გადაგიხადო ესო-  
დენი სიკეთე? მთელი ის წყევლა საყვედურები, რაც  
„მეცნიერული“ წერილების კითხვის დროს შენთვის  
გამომიგზავნია-რო უკან წავილო მაინც არ იქ-  
ნება გადახდილი შენი სიკეთე!

— მაშ გაუმარჯოს თედო ღლონტს და მის ყვი-  
თელ აღმოჩენას!

— ღმერთმა აცხონოს ბებია ჩემი, რომელმაც  
შემაყვარა მე ყვითელი ფერი!

— ხოლო ბებია ჩემის დანაკლისი სიცოცხლე  
(ცხონებული 119 წლისა გარდაიცვალა). შეემატოს  
თედო ღლონტს!

ბომბოთელი.

## სიღნაღებებს

ყური მიგდე შენ, მკითხველო,  
სიღნაღსა გვაქვს სამკითხველო.

ათასობით წიგნებს ნახავთ

ბულვარზედაც დაინახავთ.

მე მიშრება უკვე ხახა..

იქნებ მკითხო: რასა ჩემახავ?

წიგნები აქვთ დანომრილა,

სიღნაღელებს უყვართ ძილი...

პური არ აქვთ, აქვთ ხომ ფქვილი.

მაწონი და ლეკის თხილი.

მუშაობენ ერობაში...

მათ არ უყვართ ტულუშბაში,

კარგია აქ დღეობაში,

ტიკით ღვინო, ჯამით ხაში,...

ბულვართანა ნახავ გევოლოს,

ყველა იმას შემოევლოს

ნუნუათი საქართველოს

აკურთხებენ მერე გევლოს.

ჩენისთანა ბედნიერი,

და ექიმი კანდიერი

განა არის საღმე შვილი

გინდ ავიღოთ ბენაშვილი?

დროზე ნახე შენ ექიმი,

დაგინახავს, მოსდის ღიმი...

სასამართლოს გინდა გავლა,

დაგიხდება იქვე შალვა

წესი, როგორგი გახლავთ

მაშინისტებებს დაინახავთ.

მანქანაზე მუშაობენ,

იმავ დროსვე კიკჭიობენ.

ბულვარია სანატრელი

დამით გინდა შენ სანთელი,

ქუჩებია სრულად ბნელი,

სიარული გმართებს ნელნ.

შალაფრელი.

## გორესპონდენცი.

ანუ  
სინდისიც კარგი საქონელია

„კორესპონდენტი იყია,  
გაზეთს რომ მისწერს წერილს.  
თუ ტყუილები მისწერა,  
სინდისზე ყოფილა მწყრალად.“  
ხალომან ზურგიელიძე.

ჩვენი ღვთაებრივი სოლომონი ყოველთვის და ყველაფერში წინასწარმეტყველი იყო.  
კორესპონდენტის ლირსებაზე სხვათაც ბევრი უთქვამთ, მაგრამ სად სოლომონი და სად სხვანი!  
მოქალაქენო, სადღა არაა დღეს პატიოსანი და სინდისიერი კორესპონდენტები? ჩვენი, ქართული,  
პრესა ამ მხრივ განსაკუთრებულ კრიზისს განიცდის და ამიტომ ყოველი მაგალითი უცხოეთისა დი-  
დის ყურადღებით უნდა შევისწავლოთ, შევითვისოთ და ცხოვრებაში გამოვიყენოთ.

მოქალაქენო! უცხოელები (მე ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის და სხვათა პრესაზე მოგახ-  
სენებთ) არარის გულისთვის არ გადაუხვევენ სიმართლეს, პრესის მოსყიდვა მათ სიზვარშიაც არ  
დაესიზმრებათ, ფულის გულისთვის... მაგრამ რაღა გავაგრძელო, აი ქვემორე მოყვანილი სურათები  
ოქვენ ისედაც ნათლად დაგიხატავენ მათ სიფაქიზეს.

სინდისიც კარგი საქონელია! (ქართული თქმა)



როდესაც პატივცემული კორესპონდენტი „ტამსისა“ ჯონ ჯოლი თფილისში ჩამობრძანდა, სა-  
ქართველო უკვე ერთი წლის დამოუკიდებელი იყო. ის სახრჩობელები, რომლებიც ჩამწერივებული  
გვქონდა თავისუფლების პირველ დღეებში მთელ რუსთაველის პროსპექტზე და რომლებზედაც უმ-  
თავრესად რუსებსა და სომხებს ვახრჩობდით (თქვენ კარგათ გეხსომებათ ეს ამბავი), ჯონ ჯოლის  
ჩამობრძანების დროს აღებული იყო და ამ გარემოებამ ძლიერ დაალონა პატივცემული ჯონი. მან  
მწუხარე თვალები მიმავლო ქუჩას და პოი, საკვირველებავ!

- მარჯვნივ დუქანი!
- მარცხნივ დუქანი!
- ნეტავ რა არის ეს დუქანი?! ცნობის მოყვარეობით წარმოსთქვა ჯონ ჯოლმა და მარჯვნივ

ჩაუხვია.

სინდისიც კარგი საქონელია! (ქართული თქმა)



როდესაც მარცხნია მხრის დუქნიდან ჯონ ჯოლი ქუჩაში ამოვიდა, ეს უკანასკნელი უკვე ნან-გრევებსა და ჯოჯოხეთურ სანახაობას წარმოადგენდა. ჯონ ჯოლმა ამოილო კარანდაში, ხოლო უბის წიგნის ნაცელად სტერლინგი და დასწერა:


— ქალაქი თფილისი საშიშარ სანახაობას წარმოადგენს. არც ერთი სახლი, არც ერთი ტელე-გრაფის ბოძი, არც ერთი ქუჩის ფანარი სწორათ არა დგას; ყველაფერი მინგრეულ-მინგრეული და მიღრეცილ-მოლრეცილია. ქუჩებში გააფთრებული ბოქსია (კრიკ) გამართული. მდგომარეობა უცხო-ელისათვის სახითაო, არა თუ მარტო სურსათის მხრივ (აქ ერთ წვეთ ღვინოს ვერ იშოვნი) არა-მედ სიცოცხლის შენარჩუნების მხრივაც...

ჯონ ჯოლმა აიარ ჩამოიარა თფილისის ქუჩები და, როგორც დაკვირვებულ კორესპონდენტს შეეფერება, ყველაფერი გულის ფიცარზე დაიწერა.

ქართველო კორესპონდენტებო! ქუჩაში ნახულს გაგება, აწონ-დაწონვა, სინდისიერი შეფასება და შემდეგ მსჯავრის დადება უნდა! ჩვენ ამაში ჯერ-ჯერობით გამოუცელნი ვართ და მაშ პატი-ვცემალ უცხოელ ჯო ჯოლის მაგალითი თქვენთვის საგულისხმიერო უნდა იყოს.

ბინაზე დაბრუნებისათანავე ჯონ ჯოლი წერას შეუდგა.. მას დიდი აღელვება და საქართვე-ლოსადმი უზომო თანაგრძნობა ეტყობოდა. მან დასწერა:

სინდისიც კარგი საქონელია! (ქართული თქმა)



— თფილისის ქუჩებში თქვენ ვერ შეხვდებით ვერც ერთ ადამიანს, განურჩევლათ სქესის ეროვნებისა, რწმენისა და მიმართულებისა, რომ თავზე ჭრილობა არა ჰქონდეს შეხვეული...

ჭრილობა აქვს მიღებული არა მარტო ადამიანებს, არამედ პირუტყვებსაც!.. აქ ვერ ნახავ ვერც დალლს, ცხენს, კატას რომ თავი შეხვეული არა ჰქონდეს.


სინდისიც კარგი საქონელია! (ქართული თქმა)



ჯონ ჯოლი განაგრძობს!!

— საქართველოს პეტარ ჯარი და სახალხო გვარდია. ისინი ერთმანეთს სჭამენ. ქუჩაში გვარდიელი და ჯარის-კაცი ერთად ვერ გაივლის, უთუოდ ერთმანეთს დახოცენ და შემდეგ შესჭამენ. ქართველებს ბრძოლა არ ეხერხებათ: ჯარიც და გვარდიაც ერთთავად მხდალები არიან, სომხებს და თაორებს ამ მხრივ არა ჰგვანან!


სინდისიც კარგი საქონელია! (ქართული თქმა)



— სახალხო გვარდიას ვინმე ჯუღელი ხელმძღვანელობს, ყოფილი მოსკოვის სტუდენტი. ის წინეთ ბოლშევიკი იყო და ახლა, როგორც კი დაინახავს რუსეთის ბოლშევიკებს იმ წამსვე თფილისში საბჭოთა მთავრობას გამოაცხადებს. ვსოთოვ რედაქტირას ამაში ეჭვი არ შეიტანოს. თანახმად ქართული ადათისა ვფიცავ ჩემს ულვაშებს,\* ) ცნობა სწორია. ვალიკო ჯუღელმა ძილი არ იცის, ვინაიდან მუდამ დაფნის გვირგვინები და ნაბოლეონის სახელი ელანდება.

\* ) სამწუხაროდ კორესპოდენტს ულვაშები არა ჰქონდა. არ ვიცით ქოხა იყო თუ იპარსავდა.

სინდისიც კარგი საქონლია! (ქართ. თქმა)



— ბატონი ჯუდელი, — განაგრძობდა კორესპონდენტი ჯონ ჯოლი, ძლიერ მოუსვევნარი და პატივის მოყვარე კაცია. მას ერთ დღესაც არ შეუძლია უჩხურათ გასძლოს. იგი დღან-ლმიანად ცხენ-ზე ზის და ხელოვნურად ჰქმნის ფრონტებს. ჯერ იყო და სომხებს დაეცა. საბრალო ხალხი შეავიწ-როვა. ახლა მას განზრახული აქვს ჩვენს, ინგლისის მოქავშირე აჭარისტანს დაეცეს და ჩვენი განუ-ყოფელი ნაწილი ქ. ბათუმი წაგვართვის.

აი ასე მიუდგომლად, ასეთი სისწორით აღნუსხა ბ-მა ჯონ ჯოლმა ჩვენი ცხოვრების ყოველი წერილმანი და გააგზავნა ინგლისში, რომ მის თანამემამულებს უტყუარი წარმოდგენა ჰქონდეთ ახლად განთავისუფლებულსა და საერთაშორისო ფერხულში ჩამბულ პატარა საქართველოს დემოკ-რატიულ რესპუბლიკაზე.

ქართველო კორესპონდენტებო! ისწავლეთ უცხოელებისაგან, როგორ უნდა კორესპონდენტიების წერა, როგორ უნდა პატარა ერის დახმარება, როგორ უნდა სიმართლის, სიწმინდისა და სიფაქიზის დაცვა! ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კორესპონდენტი ჯონ ჯოლის მაგალითი თქვენთვის ამ მხრივ ბევრი რამის მაჩვენებელი იქნება.

„სინდისიც კარგი საქონლია“ — ტყვილად როდი ამბობს ქართველი ხალხი!

## მერიუასი ოცდაექვსი

რომ შემძლებოდა, ანგელოზად გადიქცეოდი,  
ქარის სისწრაფით სიხარულის ფრთებს შევისხამდი,  
აღტაცებული მალლა ცაში აეფრინდებოდი  
ოცდა ექვს მაისს ჩვენს წინაპრებს მივულოცავდი:  
დედა სამშობლო — თარგმოსის შვილთ სატურ-  
ფალი,

ტყვედ ქმნილი უკვე გაუაურჩა მრავალ განსაკვდელს!  
დიალი ბრძოლით გადალახა მტერი მუხთალი  
და მიაღწია მზის სინათლეს, ძირფას საწადელს!

ნაზი მაისის „ოცდაექვსი“ ყელს მოიღერებს,  
ზემოს გადიხდის საქართველო თავისუფალი!  
რაინდი ერი კვლავ მოსეულ მტრებს მოიგერებს,  
ალაზერ დროშებს გადმოხედავს განგების თვალი.  
გიგო ხეჩუაშვილი.



## მთავარი სახელოსნოები.


— თვალსაჩინო წევრი გამგეობის ილიკო მანჯ-  
გალადე ხანგრძლივ ძებნის შემდეგ აღმოჩნილ იქ-  
მნა. ის დატყვევებული ყოფილა ბათუმის საოლქო  
ციხეში, როგორც მავნე ელემენტი აჭარისტანის  
რესპუბლიკისა. ახლო მომავალში თანახმად გენე-  
რალ გუბერნატორის კოწია სულაქველის შუამ-  
დგომლობისა ის განთავისუფლებული იქნება, რის  
შემდეგ მიიწვევენ რკინიგზელთა თავდაცვის ბიუ-  
როს წევრად.

— რკინის გზის ფურნები ამ ბოლო ხანს სა-  
უცხოვო ხარისხის მატლებს აცხობენ. სამწუხაროდ  
ხანდისხან მატლებში პური ურევია, რაც დიდ  
აღშფოთებას და უკმაყოფილებას ჰპადებს.

— რკინიგზელთათვის ცნობილს, ემიგრანტ  
სოლ. დოლიძეს სტატისტიკის მიხედვით საზღვარ  
გარეთიდან დაბრუნების შემდეგ წარმოუთქვამს  
227 სიტყვა. აქედან მხოლოდ ორჯერ ნაღიაპარა-  
კევში არ არის ნახმარი ფრაზა: „როცა მე შვეი-  
ცარიაში ვიყავი“.

ცოც!

„უხვად დასწერდი, ზღვასაცა შეხდის და გაედინების“.



თედორეს მწერლობა ბარაქით სჩვევიან:  
„ყვითელი ფურცელნი“ თავს დაეფრქვევიან...  
და ყვითელ ფურცელია შერთვა რა ინება,  
„ყვითელი ფურცლებიც“ მით გაედინება.

## სამშობლოს წესა

**დ. ხარაგოული.** გაგვილიმა ბედმა. ჩვენი მწვავე მდგომარეობა ისტორიის ჩაბარდა. ჩაბარდეს. დი-ლი კვლევა-ძიების შემდეგ ამ. ს. ბოჭ-მა ამ. თ. ნ-ლის სახლში აღმოაჩინა ფულის მდიდარი მაღანი; აღმოჩნიათანავე მან დაარსა ეგრედ წოდებული „სცენის მოყვარეთა საზოგადოება“, რომლის მი-ზანია გათხელებული ჯიბის გასქელება. მაღანის დასამუშავებლათ საუკეთესო საშუალებათ მიჩნე-ულია ყოველ კვირა-უქმე დღეებში ყოველ წევრ-თათვის მორიგეობით იმართებოდეს საბენეფისო სალამოები ადგილების, რაც შეიძლება, მეტი ფა-

სებით, 300-600 მდის. საზოგადოება მეტად ცხო-ველ მყოფელი გამოდგა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ ამ ეამა წევრთათვის ბენეფისები მეშვიდეჯერ იმართება, რიგში დგას ამხან. ოორ. ნ-შვლი; უკა-ნასკელმა ბენეფისმა დატოვა წმინდათ 40000 შან. იმ ხარჯების გამოკლებით, რაც მეორე, მესამე და სხვა დღეებში გაწეული იყო ამხანაგ პ. დევ-ნის სამიკიტნოში; აშეარაა, ამხანაგობაში ჩაწერა მეტად ხელისაყრელია ყველისათვის, და ამხანაგობაც მოუ-წოდებს რესპუბლიკის ყველა მოქალაქე ჩასაწე-რათ, რომ წელი გაუმაგრონ ეკონომიკურათ და-ქვეითებულ სამშობლოს; ჩაწერა შეუძლია ყველის. მისამართი: სამიკიტნოს შესახვევი, ს. ბოჭ. ან კ. გ.

უთო.

## სტამბოლისაკენ.



1-მათი ალმატებულება. თქვენო ალმატებულებავ გზა დიღი გვაქვს, შეგვიძლია საკმაოდ შე-  
ვისწავლოდ თათრულია ენა. ამბობენ აღვილია...  
2-მათი ალმატებულება. ქართული ვისწავლეა, თქვენო ალმატებულებავ, — ფურმა არ მიგვიღო,  
საშუალო ენამ ბათუმი დაგაკარგვინა, ახლა მარტო თათრულია დაგვრჩენია.



## ზესტატონი.

მიმართვა ბ-ნ ეშმაკს და თაგუნას!

ჩვენ, ქვემოთ ამისა ხელის მოწმერნი, ქ. ზე-ტაფონის მცხოვრებნი, ტომით I-დემოკრატი, პამრობითი სქესისანი კიკო და სიკო, მოგმართავთ თქვენ შემდეგი თხოვნით: მთელი შორაპნის მაზრა, და კერძოთ კი ქ. ზესტაფონი მოკლებულია თქვენი წყლობის თვალს. იმდენათ წათამადა ადგი ლობრივი საზოგადოება და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით საქმის ხალიც, რომ დაავიწყდათ ყველაფერი, რაც ყველმა მოქალაქემ მამაოჩვენოსავით უნდა იცოდეს. ამიტომ ჩვენ, კიკო და სიკო, საქიროთ დავინახეთ გაგაცნოთ თქვენ ყველაფერი საქმენი სამათრახენრ, მაგრამ ვიდრებდის ჩვენ, კიკო და სიკო, თქვენი სამეფოს მოქალაქეთ არ ვითვლებით, მოვისხოვთ შემდეგს: 1). დაუყოვნებლივ ვიქნეთ ჩარიცხული თქვენს ლაშქართა სიაში, 2. პოვეცეს უფლება თვისუფალი წერისა, რომლის გამოცხადებაც „ეშმაკის მათრაპში“ თქვენთვის სავალდებულო არ იქნება:

და 3. მოგვეცეს სრული გარანტია, რომ თქვენ ჩვენ შრომაში სასყიდელს არ შემოვთავაზებთ.

უკეთუ ზემორე ჩამოთვლილი მუხლები თქვენ მიერ იქნება მიღებული, ჩვენ, კიკო და სიკო, ვლებულობთ თქვენს წინაშე შემდეგ ვალდებულებათა შესრულებას: 1. ვწეროთ ცოტა; და ვწეროთ მიუდგომლათ; 2. არ დავტოვოთ უმაღლერი არავინ, ვინც კი იქნება ღირსი მათრახის კუდისა და 3. ვექნათ პასუხისმგებელი ჩვენს მოქმედებაში მხოლოდ თქვენს წინაშე. \*)

კიკო და სიკო.

\*) რედაქცია „ეშმაკის მათრახისა“ სავრებით ღებულობს ბ-ნთ კიკოსა და სიკოს წინაღილებას.

ეშმაკი და თაგუნა.

ხიდები ქალაქ ზესტაფონისა. ამ ქალაქს მაზრის სამხრეთ ნაწილაზე აერთებს ორი ხიდი მდინარე ყვირილაზე, რომელთაგან ერთი (ზედა ხიდი) კარგა ხანია ჩანგრეულია. მასზე ქვეითადაც სახიფათოა გასვლა. ხიდის ასაშენებლათ მიღებულია ზომები. როგორც ამბობენ, ერობას ტეხნიკოსები გაუგზავნია აესტრალიაში ხიდისათვის საჟირო მასალების შესაძენათ.

რაც შეეხება შეორე (ქვედა) ხიდს, ამ სამა თვის წინათ ვიღაც ბოროტ გამზრახველებმა (ზოგიერთები მდინარესაც კი აბრალებენ) ხიდის სამხრეთის ნაწილი ააფეთქა. რათა შემდეგში თავიდან აიკილოს ქალაქმა ხიდის მოსალოდნელი აფეთქება, გადაუწყვეტია — ხიდი აღარ იქნას შეკეთებული.

ო განათება. ვინაიდან ქალ. ზესტაფონში ხშირათ და მოულოდნელად ქრება ელექტრონის ლამპები, ქალაქის მოურავმა განკარგულება გასცა, რათა სრულიად დაიხუროს ელექტრონის სადგური და გამო-

ეცხადოს მცხოვრებთ, რომ ყველამ იზრუნოს ისევ თავისათვის საჭირო განათებაზე. ამასთან ერთად როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ქ. ლაქს შეუკვეთია შრომის კურტლეულობის ქარხანაში ერთი ვებერთელა ღინამომაშინა 1500 ვირის ძალისა, რომელმაც უნდა გაანათოს მთელი შორაპნის მაზრა, გარდა ქალ. ზესტაფონისა.

ვაჭრობა-მრეწველობა.

მუნიციპალური ვაჭრობა-მრეწველობა შორაპნის მაზრაში ჩინებულია მიუსი. სამაზრო ერობა ხსნის საყავრიაში ახალ ქარხანას. ქალაქმასურსათის კრიზისის შესამსუბუქებლათ უკვე გამოიწერა ერთი ვაგონი ქინძისთავი და რამდენიმე ვაგონი მუხის ქერქი. საზოგადოება რაგშია ჩამდგარი სანოვაგის მისაღებათ.

კიკო და სიკო.

## ვაი ღერავ!

ვაი დედავ, მტკივა თავი...  
ლამის ამძრეს ზურგზე ტყავი,  
მაინც არ დამიღვა ხვავი  
რომ მეშოვნა საცოხნავი.

ვაი დედავ, მტკივა ტვინი...  
ვის არგუნეს ორდენ ჩინი?  
დროც ბევრი აქვს დასაძინი,  
გავხდი ქვეყნის გასაცინი.

ვაი დედავ მტკივა თვალი...  
სულ შენია, დედი, ბრალი,  
რათ გამზარდე გულ მართალი,  
თუ არ იყო სამართალი.

ვაი დედავ მტკივა ცხვირი...  
არც ცხენი მყავს, არც ვირი,  
კარს მომადგა გასაჭირი,  
თან მაწუხებს კუჭის გზირი.

ვაი დედავ, მტკივა ენა...  
სიმშილი და ამოდენა?!

არ ვის უნდა თხოვნის სმენა,  
ცუდ უბრალოდ თავის ტკენა.

ვაი დედავ მტკივა ყური...  
არვინ მომცა ლუკმა პური,  
ვისაც ვსოხოვე მკრეს პანლური  
(დამიფასეს სამსახური!)

ვაი დედავ, მტკივა ყელი...  
„ერთსაც ესოხვე პასუხს ველი,“  
ეგებ მომცეს ძმურად ხელი,  
შემისრულოს სანატრელი.

ვაი დედავ, მტკივა გული...  
არც ბორი მაქვს, არც სხვა ფული,  
თუმც გველირსა გაზაფხული  
ლუკმისა ვარ ღღეს ნატრული.

ვაი დედავ, მეწვის კუჭი...

ეს ქვეყანა არის ფუქი,  
სიმშილისა მკლავს მუხრუჭი,  
თვალი მზად მაქვს დასახუჭი.  
ვაი დედავ, მტკივა წელი...  
ნაწლავები და მუცელი.  
უსაქმურად დამდჩა ხელი  
რომ მეშოვნა საცოხნელი.  
ვაი დედავ, მტკივა ფეხი,

არც ბეგი ვარ, არცა გლეხი,  
არ მაქეს მჭიდის მონატეხი,  
ამ სიცოცხლეს დავეც მეხი.  
ერთი სიტყვით, მტკივა ყველა,  
უჰუ უჰუ ესეც ხველა.  
ნუ თუ მელირსება შველა?!  
ვაჭარიც მწოვს ვით წურბელა.  
ან. განჯის-კარელი

### ფოთის მიღიცია.



ფოთის მიღიცია გადასწყვიდა თეატრში წესრიგის დასამყარებლათ დასდგას ტყვიისმფრქვეველი,  
ვანაიდან თოფებით არაფერი გამოდის.

### ფირიმის ბედაური.



ინკლისელი. გასულ ზამთარში რაც შემძლო ვხედნე. ეხლა კი დავარდა. თუ ამ ზაფხულზე  
იმ დათვება არ შეჭამა... ვინ იცის, შეიძლება... მაგრამ არა, მე, როგორც ჯენტლემენს, ოცნება არ  
შემშვენის.

## გაგონ-რესტორანში.



გლეხი. (კონდუქტორს) უკაცრავათ. ჩემო გატონო, ვინ არიან აი ეს პატიოსნები?

კონდუქტორი. ვერ ხელავ, კაცო, ლტოლვილები არიან...

გლეხი. ლტოლვილები? ბიჭის, მერე ასე რამ გაასუქა?

კანდუქტორი. სულელი ხომ არ ხარ, კაცო, ვერა ხელავ, შიმშილით არიან დაბიუნებული?

## ბაქოს ოინები.



ბაქოს კომუნისტებმა საქართველოს დასაპყრობათ შეაღვინეს „ქართული პოლკი“. სარწმუნო წყაროებისან გავიგეთ, რომ პოლკში ერთი ქართველიც რა ჩარიცხულა.

თავისი რაფიცენის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი



ს. ეგლიანი ზეგული